ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119262302**

თარიღი:**18/08/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ

„წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა 2026 წლის 18 აგვისტოს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 10:30 სთ-ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიისა და ფრაქციების დასკვნები დადგენილების პროექტზე „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის #10 დადგენილების ძალადაკარულად გამოცხადების შესახებ;

ბ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიისა და ფრაქციების დასკვნები განკარგულების პროექტზე ,,2026 წლის 3 ოქტომბრის წალკის #25.09 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“;

გ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიისა და ფრაქციების დასკვნები განკარგულების პროექტზე ,,2026 წლის 3 ოქტომბრის წალკის #25.09 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შუალედურ არჩევნებზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)“.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი